



# სამსხარე

ფასი: წლიურად 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაურ. ღირს. ღირსი: 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზიარების ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრუქტურის პირველ გვერდზე პეტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრუქტურის პეტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევს 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 166 ყოველდღიური საკრედიტო და სალიტერატურო გაზეთი № 166

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუნი, არ გაიცვლებს სხვაზედა, ორიგ ტბილია ძმობილა, მიჩვენის ორსვე თვალზედა, რაგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.“

ტელეფონი № 76.

დრამა დამწერებულა: ქვირივი ეკატერინა იოსების ასული, შვილები: ვასილი, გიორგი, მარია, პელაგია, ბარბალე და ნინო; რძალი ქვირივი ნინო ერასტის ასული, ძმა გენერალ-მაიორი კირილე პეტრეს ძე ქუთათელაძეები; დები: ანასტასია ანჯაფაროვისა, სუსანა ლორთქიფანიძისა და მატრონა პეტრე ქუთათელაძის ასული, სიძეები: არჩილ დავითის ძე ანჯაფარიძე და ბესარიონ თომას ძე ლორთქიფანიძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას კოლეჯის ასსესორის

**კლიმანტი პასტრას ძე ქუთათელაძისა,**  
რომლის გამოსვენება საკუთარი ბინიდან და დაკრძალვა საფინჩის სასულაოზე დანიშნულია 3 სექტემბერს, დღით ხუთშაბათს, 3<sup>1</sup>/<sub>2</sub> საათზე და გთხოვთ მომზადდეთ თქვენი თანხები მწუხარებასა შინა მყოფნი კირისუფალნი.

პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე.  
ივანოვის ქუჩა, ნაგორნი უჩასტკის პირდაპირ. 2-1

**ელექტრო „კალიშვი“ თეატრი**  
კვირიდან, 30 აგვისტოდან დიდი ფართო პროგრამა.  
**სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებისა და მინისტრების კრება.**  
სამამულიშვილო ომის ისტორიული წლის თავი 19 აგვისტო 1915 წ.  
II.  
ნაჩვენები იქნება ამერიკული კოლოსალური სურათი:  
**მილიონების გიზნოზის გაულებს ქვეშ.**  
15 ათას მეტრის ზომის ლენტი.

ნის შუა. სავერინშკის ჩრდილოეთით სკოპის რაიონში და ვილკომირიდან გამოსულ შარა გზით იოტინთან. ამ უკანასკნელ მიმართულ გზით გერმანელებს დიდძალ ჯარებისთვის მოეყარათ თავი, რის გამოც რუსებმა სასტიკი წინააღმდეგობის შემდეგ დუსიოტის ტბისკენ დაიხიეს. სკანისა და ვილიის შუა გერმანელები გარდამწყვეტ იერიშით წამოვიდნენ და პოდბროვს რკინის გზის სადგურისაკენ გამოქანდნენ. რუსის ჯარები, მიუხედავად გერმანელთა სასტიკი წინააღმდეგობისა, მაინც ახერხებდნენ მათს შეჩერებას ცეცხლითა თუ კონტრიერიშით. ორან-მოსტის ფრონტზე მძაფრი ბრძოლა გრძელდება სკიდელის რაიონში, სადაც გერმანელთა მშველი ჯარები მოუვიდათ. რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს 1 აფიცერი და 101 ჯარისკაცი ხუთი ტყვიისმფრქვეველითურთ. ამ რაიონის ჩრდილოეთით გერმანელთა მოქმედებით იერიშები, მაგრამ ადვილად იგერებდნენ. ტყვეების ჩვენებით გერმანელები უკანასკნელ ხანში ბრძოლით მოიქანცნენ თითო როტაზე ას კაცამ დის ეზოცებათ. რაკილა რუსის ჯარები ნემანზე და მის სამხრეთით მეტად წინ წაწეული არიან, ამიტომ გადაწყვეტილია ფრონტის გასასწორებლად უკან დაახვეწონ და ისე შეაჩერონ გერმანელთა შემოტევა. ამასთანავე რუსებს განსაკუთრებით 29 აგვ. უტევდნენ ქვემო ზელვიან-ქვე და სლონიმო-ბარანოვიჩის შარა-გზაზე, ზელვისა, რუჟანისა და კოსსავას სამხრეთ-აღმოსავლეთით. ქვემო ზელვიანზე რუსები გერმანელთა გააფთრებულ იერიშებს მთელ 29 აგვ. განმავლობაში ყოჩაღად იგერებდნენ. ზელვისთან რუსების ცეცხლმა მოსპო მათი ბატარეა, მაგრამ გერმანელებმა პირი მოიბრუნეს, ძლიერი ცეცხლი გააჩაღეს და მთელ დამის განმავლობაში მას თან ეფარებოდნენ და თან ისე მოქმედებდნენ იერიშები შარა გზის ორთავე მხარის გასწვრივ. ბარანოვიჩის შარაგზაზეც ძლიერი იერიშები მოაქვეთ. ზარბაზნებში მსხვილი კალიბრისა ცეცხლი მოიხმარეს. ამ რუსებმა ტყვედ წამოიყვანეს ოთხასი ავსტრიელი და პატრონები. ნაკლებ სიზოველეს იჩენდნენ რეჟანთან ბრძოლაში. ჰინის მიმართულ გზით მდგომარეობა უცვლელია. გერმანელები სკიდლობენ კოლვის რაიონში გაიჭრნენ სტრის ორთავე

ახლად დაარსებული საზოგადოების „სინათლის“ მიერ 9 სექტემბერს **გაიხსენება** **მ. აშთაიანი** ქალთა ქართული სასწავლებელი (ორი მოსამზადებელი და პირველი პროგნოზი კლასი). მსურველთ პირობების გასაგებათ შეუძლიათ მიმართონ ჯერ-ჯერობით ქართული გიმნაზიის შენობაში ბ. ი. ოცხელს. იქვე მიიღება თხოვნებიც. 7-1

**ქიმი ქალი** **ქ. აშთაიანი.** **ფენევის უნივერსიტეტის დოქტორა მედიცინისა**  
**დ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა**  
ღებულობს შინაგან და ქალთა ავთომყოფობით სნეულებს დილის 9-12 საათ. ღ საღ. 5-6 ს. ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) აღნაიას სახლები. თვ. 975

ა. გარსევანიშვილის წიგნები **მაია-მათა შარალათ წოდებული.** იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

**გამოვიდა და იყიდება** **მთავარი წიგნის მაღაზიაში ქართული წიგნი:** „**ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია**“, შედგენილი **ხ. რ. ზორბაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

**დაიბეჭდა** **ა. გარსევანიშვილის წიგნები** **მაია-მათა შარალათ წოდებული.** იყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში.

**ანა ლუარსაბის ასული ქავთარაძისა** მომავალი ენკენისთვიდან, გენერლის ქუჩაზე, ნიკოლოზ ზაალის ძის ბაღრძის სახლში ხსნის **ქალ-ვაჟთა** მოსამზადებელ **სკოლას** **საბავშვო ბაღით.** სწავლის ფასი თვეში 10 მ. ბავშვების მიღება დაიწყება 20 აგვისტოდან. სკოლის კურსთევა მოხდება სამშაბათს, 1 ენკენისთვეს, ნაშუადღევს 5 საათზე. 6-5

**მ. გ. კვიციანიძის** (თფილისის ქუჩა, სახლი ფრ. წერეთლისა). აცხადებს, რომ მისადები **გამოცდები ყველა კლასში დაიწყება 18 აგვისტოდან,** სწავლა კი 1 სექტ. პროგნოზიან აქვს **აგრეთვე საანბანო განყოფილება,** სადაც მიიღებენ სრულიად მოსამზადებელი ბავშვები.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაქროს პირდაპირ გაიხსნა **დიდი იაფი ვაჭრობა** **ფხვსასმელაგისა და საბალანსარიო სააქონლისა.** რომლის ფასები 50%-დან 75%-დამ დაკლებულია. პატივისცემით დ. შ. ბახტაძე.

**დოქტორი მედიცინისა,** პრივატ-დოცენტი **გარლამ პავლეს ძე მოსაშვილი** 8 მაისიდან მიიღებს ავთომყოფებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევს 2 საათამდე და ნაშუადღევს 3 საათიდან საღამოს 8 საათამდე. გომშიტლის ქუჩა, მოსეუმილის სახლი, საზინის პირდაპირ № 6. თ.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაქროს პირდაპირ გაიხსნა **დიდი იაფი ვაჭრობა** **ფხვსასმელაგისა და საბალანსარიო სააქონლისა.** რომლის ფასები 50%-დან 75%-დამ დაკლებულია. პატივისცემით დ. შ. ბახტაძე.

**ექიმი ი. ჩარბაძე** ქალაქ. საავთომყოფის ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავთომყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12-2 საათ. საღამო. 6-8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

**ექიმი გ. ბ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავთომყოფებს იღებს დილის 8-2 საათამდე და საღამოთი 6-8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის უოფილი ქაქაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი** **მარ. ბალანჩივაძისა.** ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშებით. ვსაბო სახეზე: მუწუკებს, ნაოქებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავთომყოფობას. ამასთან ვუტყვი ყვავილსა და აგრეთვე **ნამდვილად მარკინ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშუალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სიბილეს. ავთომყოფების მიღება დილის 9-2-დღე და საღამოს 4-6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ო გ ი** (პეტ. დებ. სააგენტოსაგან) **აღმოსავლეთის ასპარაჟი.** პეტროგრადი 30 აგვ. ოფიციალი. რიგისა და ფრიდრიხშტადტის რაიონში საბოტირელიო სროლა და პატარა-პატარა შეჯახება. იაკობ-შტადტიდან რუსის ჯარები 29 აგვ. დილიდანვე იერიშზე გადავიდნენ. მდ. პიკსტერთან სასტიკი ბრძოლა მოხდა. დინსკის გზაზე 29 აგვ. გერმანელები სამი გზით წამოვიდნენ: მდ. რუსეისა და ნემ-

რაიონში საბოტირელიო სროლა და პატარა-პატარა შეჯახება. იაკობ-შტადტიდან რუსის ჯარები 29 აგვ. დილიდანვე იერიშზე გადავიდნენ. მდ. პიკსტერთან სასტიკი ბრძოლა მოხდა. დინსკის გზაზე 29 აგვ. გერმანელები სამი გზით წამოვიდნენ: მდ. რუსეისა და ნემ-

ნაპირების გასწვრივ. როგორც რაიონში გერმანელებმა ძალები შემოიკრიბეს დერაქნოს რაიონისკენ წამოვიდნენ.

მათი იერიში ჯერ-ჯერობით შეჩერებულია. კრემენკოს მიმართულებით იერიშები გამოქვეყნდა გორინის ნაპირებზე, თუმცა უნაყოფოდ. აქ ავსტრიელები უკუგდებულნი იქნენ დიდი ზარალით. 200 ტყვე ავსტრიელიდან 40 ნებით გამოიქცა რუსების თხრილებისკენ. ტარნოპოლის რაიონში რუსები იმარჯვებულნი იქნენ ჩრდილოეთით 29 აგვ. ტყვედ წამოიყვანეს 91 აფიცერი და 4200 ჯარისკაცი, მათ შორის გერმანელებიც, 9 ტყვიისმფრქვეველი და მრავალი სამხედრო სურსათი. მოწინააღმდეგეს განახლებულ იერიშების დროს დიდი ზარალი მოუვიდა, მიუხედავად იმისა, რომ მაშველი ჯარები მოუვიდათ. მათ 2 ვერსის მანძელზე ბოლით დაზარადა მთელი ფრონტი. ტარნოპოლის სამხრეთით რუსებს დიდი დახმარება გაუწია ჯავშნიანმა ავტომობილებმა, რომელნიც მთელი საათობით პირში უღვინებდნენ მტერს და შეუწყვეტდნენ ესროდნენ. 30 აგვ. დიდიდან რუსები ტარნოპოლის სამხრეთით იერიშზე გადავიდნენ. სერეტზე ტლუსტუს რაიონიდან ავსტრიელები დნესტრისკენ მიდიან. რუსები სდენიან. მრავალი ტყვე წამოიყვანეს.

შავ ზღვაზე, ჩაუდეს კონცხთან, მტრის წყალქვეშას შეებრძოლნენ რუსის გემები. საზოგადოდ რუსები გეგმას ასრულებენ. ლაშქრის მდგომარეობაც უმჯობესდება.

**ლონდონი.** 30 აგვისტო. ბექედით ბიურო იტყობინება, რომ ვასულ ღამით ცეცხლივით აღმოსავლეთ სანაპიროებზე გადაიფრანეს და უშედეგოდ ყუბმარები ჩამოაგდეს. აგრეთვე იტყობინებია, რომ გემი

**ხოლმერა.**  
მ ა მ ი ს ს ა უ ბ ა რ ი.  
(მოკლე დარიგება).  
დასასრული იხ. „სამშობლო №160 165 ხოლმერიანი ავადმყოფის მოვლა და წამლობა.“  
ხოლმერის დროს სახლში უნდა იქონიოთ შემდეგი წამლები: მარილის სიმეავე, ლიმონის მარილი, ინოზენცევის, ბოტკინის, ვალერიანის, პოფანის წვეთები, მლოგვის (გარჩიცის) და ქაფურის სპირტი ყოველივე ეს შეგიძლიათ აფთიაქში ან აფთიაქის საწყობში იყიდოთ. საქმარისია, რომ თითო წამალში გადაიხადოთ 25—30 კაპ., გარჩიცის და ქაფურის სპირტი კი იყიდოთ არა ნაკლებ 40—50 კაპ.

როცა სახლში ხოლმერის ნიშნებით ვინმე ავად გახდება, ასე უნდა მოიქცეთ: საჭიროა, რომ ავადმყოფი საავადმყოფოში გადაიყვანოთ. ამგვარად უნდა მოიქცეთ მარტო იმიტომ კი არა, რომ დანარჩენებიც არ გახდნენ ავად, არამედ იმიტომაც, რომ თქვენ სახლში ისე ვერ მოუვლით ავადმყოფს, როგორც საავადმყოფოში ხალხში გავრცელებული ათას გვარი უნიადაგო და უვიცი აზრი ხოლმერის საავადმყოფოზე და იქ მყოფ ავადმყოფს მომვლელებს

„შეშორ“-ი დიდიუბო. ეკიპატიდან მობარტულებით. ნახევარი საათის შემდეგ უკან გაბრუნდა და მიუახლოვდა შვეციის ნაპირს, შემდეგ კლაგარამანთან მიფრინდა ცეცხლით. თან, როგორც სჩანს, მოხსენება გადასცა და ჩამოეშვა წყალზე გერმანელების საყარაულა გემის ახლოს...

**ტოკიო** 29 აგვისტო კუნძულ ფორზაზე დააპატიმრეს 30 ისურვეტი, რომელნიც ამბოხების მოხდენას ცდილობდნენ.

**ბუქარესტი.** 29 აგვისტო. „ინდეგელანს რუმენ“-ი იტყობინება უნგრეთის საზღვარს დაკეტვის შესახებ, რომ ავსტრო-გერმანიის ელჩსა ჩერნინს მინდობილი აქვს განაცხადოს: ეს ზომები მიღებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუშალოს შაიონების მოქმედებას, რომელსაც მებრძოლი სახელმწიფოები აწყობენ მათ წინააღმდეგ. ამ ზომებს არა აქვს მტრული ხასიათი რუმინისადმი. რაც შეეხება შვეიცარიის საზღვარს, ამ რამოდენსამე დღეში უთუოდ გახსნილი იქნება. მეორეს მხრით ირწმუნებია, რომ მომავალ კვირაში უკვე აღდგენილი იქნება ნორმალური მიმოსვლა მატარებლებისა, რადგანაც ამ დროისათვის ავსტრო-გერმანიის ჯარის გადაყვანა-გადმოყვანა უკვე დასრულდება.

**შეტროგადი.** 30 აგვისტო. უმაღლესი ბრძანებით ნება მიეცა ფინანსთა მინისტრს გამოეშვა მოკლე ვადიანი სესხი 1100 მილიონ მანეთისა. ამასთანავე ებრძანა, რომ ვადის მოახლოებისთანავე გადაივალოს ახალზე ისე, რომ ახალი ჯამი, რომელიც ბრუნვაში იქნება, არ აღემატებოდეს 4000 მილიონ მანეთს.

**ლიმგაი.** 30 აგვისტოს დილის 8 საათზე შეჩნეული იყო გიდროპლანი, რომელიც დაფრინავდა ზუნდას თავზე. ამავე დროს სამხრეთ ნაწილში გამოჩნდა ცეცხლიანი. გიდროპლანი მიიშალა ჩრდილოეთის

ზე, კორებათ უნდა ჩაითვალოს და ხალხის გაუგებრობას და ხოლმერის შიშს უნდა მიეწეროს.

თუ ავადმყოფი სახლში იქნა მოთავსებული. უნდა დემორჩილოთ ყოლიფერში ექიმის განკარგულებას. სანამ ექიმი მოვიდოდეს, ავადმყოფს ასე უნდა მოუაროთ:

1) მოათავსეთ ავადმყოფი საუკეთესო ოთახში, რომელიც სრულყოფილი განკარგულებული უნდა იქნეს; ზედმეტი ავეჯეულობა გატანილ უნდა იქნეს ოთახიდან. ავადმყოფის ოთახში უნდა შედიოდეს მხოლოდ ავადმყოფის მომვლელი. ყოველ შესვლის წინ მომვლელმა უნდა გადაიცვას თეთრი ხალათი ანუ სხვა რამ გადასაცმელი, რომელსაც გაიხდის გამოსვლისთანავე. მომვლელი, სანამ ხელგებს არ დაიბანს გადმოდებული წყლით და არ გადაივლებს ხელზეზე 2/3 კარბოლის წყალს ან 1:1000 შემზადებული სულემას, არაფერს არ უნდა მიეკაროს.

2) ავადმყოფის ოთახი უნდა იყოს სუფთა და ნათელი, ლოგინი სუფთა. ოთახს დღეში 3—4-ჯერ უნდა განიავება.

3) პირისღების მოსახლობათ და წყურვილის მოსაკლავათ ავადმყოფს უნდა აყლაპოთ პატარ-პატარა სუფთა ყინულის ნაჭერი, სასმელათ

მიმართულებით. ნახევარი საათის შემდეგ უკან გაბრუნდა და მიუახლოვდა შვეციის ნაპირს, შემდეგ კლაგარამანთან მიფრინდა ცეცხლით. თან, როგორც სჩანს, მოხსენება გადასცა და ჩამოეშვა წყალზე გერმანელების საყარაულა გემის ახლოს...

**ტოკიო** 29 აგვისტო კუნძულ ფორზაზე დააპატიმრეს 30 ისურვეტი, რომელნიც ამბოხების მოხდენას ცდილობდნენ.

**ბუქარესტი.** 29 აგვისტო. „ინდეგელანს რუმენ“-ი იტყობინება უნგრეთის საზღვარს დაკეტვის შესახებ, რომ ავსტრო-გერმანიის ელჩსა ჩერნინს მინდობილი აქვს განაცხადოს: ეს ზომები მიღებულია მხოლოდ იმიტომ, რომ ხელი შეუშალოს შაიონების მოქმედებას, რომელსაც მებრძოლი სახელმწიფოები აწყობენ მათ წინააღმდეგ. ამ ზომებს არა აქვს მტრული ხასიათი რუმინისადმი. რაც შეეხება შვეიცარიის საზღვარს, ამ რამოდენსამე დღეში უთუოდ გახსნილი იქნება. მეორეს მხრით ირწმუნებია, რომ მომავალ კვირაში უკვე აღდგენილი იქნება ნორმალური მიმოსვლა მატარებლებისა, რადგანაც ამ დროისათვის ავსტრო-გერმანიის ჯარის გადაყვანა-გადმოყვანა უკვე დასრულდება.

# ქრონიკა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

**რ უ ს ე თ ი.**  
„შევების“ ორგანოში—„პეტროგრადსკია ვედომოსტეში“ სწერენ: „ვინ ან რა დავზოგოთ? ჩვენ კი განა გვზოგავენ?.. დადგა მომენტი, როცა ბრძოლის მოსაგებათ საჭიროა

უნდა აძლიოთ 10—15 წუთში ან 1/2 საათში მარილის სიმეავეს წყალი: 15—20 წვეთი მარილის სიმეავე ჩააწვეთეთ ერთი ჩაის ქიქა გადმოდებული წყალში, შეიძლება გაცივებული ლიმონიანი ჩაი აძლიოთ. ყინული შეგიძლიათ უფრო მალევე აყლაპოთ. მარილის სიმეავეს წყალი უხდება აგრეთვე ფაღარათს. თუ ცოტა უკეთესობა დაატყვეთ, მარილის სიმეავეს წყალი და ყინულიც შეგიძლიათ უფრო გვიან 1-ას 2 საათში ერთხელ აძლიოთ.

თუ პირისღება შეჩერდა, ფაღარათობის წინააღმდეგ იხმარეთ ეგრეთ წოდებული „გამათმობელი კომპრესი“, რომელიც ამ ნაირათ მზადდება: დოლბანდის ნაჭერი დასველეთ ცივ (სუბოხი ცივ გადმოდებული) წყალში და დაადევით მუცელზე, დასველებულ დოლბანდზე დააფარეთ ინგლისური კლიონკა (აფთიაქში ან აფთიაქის საწყობში იყიდება) ან სხვა რამე გვარი.—(თუ კლიონკა ხელთ არ არის, საწერ სუფთა ქაღალდს წაუსვით რომელიმე ზეთი ან ქონი); კლიონკაზე დააფარეთ ფანელი ან ბამბა და მერე ყველა ეს შეახვიეთ გრძელი დოლბანდით—უნდა შეენიშნოთ, რომ კლიონკა ორი თითით ან ერთი გოჯით მიერი უნდა იყოს დასველებული

ბულ დოლბანდზე, ამ გვართვე ფანელი. ანუ ბამბა უნდა გადაემატოს კლიონკას და გრძელი დოლბანდიც ფანელას.

4) სისუსტის და ფაღარათის წინააღმდეგ აძლიეთ აგრეთვე ვალერიანის, ინოზენცევის, პოფანის ან ბოტკინის წვეთები, 15—20 წვეთი ყოველ 2—3 საათში (ჩააწვეთეთ ერთი სტოლის კოვზი წყალში). თუ საჭირო იქნება, შეიძლება მისცეთ მალ-მალე: ყოველ საათში ან ნახევარ საათში, სისუსტის წინააღმდეგ ძალიან კარგია ყინულში გაცივებული შამპანური-ყოფელ 2—3 საათში თათო ან ორა სტოლის კოვზი.

5) ხელგები, ფეხები და სხვა ასოგები, როცა ავადმყოფს კრუნჩხვა მოუვლის, მუდამ უნდა მგრათ დაუხილოთ ხაოიანი პირსახოცი, ტილოთი ან მაუღით, რომელიც უნდა დაასველოთ გარჩიცის ანუ ქაფურის სპირტში ანუ არაყში.

დავიწყეთ ყველაფერი, რაც სხვის სიცოცხლეს შეეხება და მხოლოდ თავის სიცოცხლზე ვიფიქროთ! ჩვენი წინააღმდეგ ცხოველების შეკავადლონზე სხვითი ასოგებით წარწერილ უნდა იქნას შემდეგი: რუსის ზღვა სისხლის ემბაზში ინათლება დიდი მართლმადიდებელი რუსის ხალხი! ვინც მასთანაა, ის მისი მეგობარი და თანასწორი ძმია, ხოლო ვინც მასთან არაა, იგი მტერია და სიკვდილი მას!!

აი ეს არის და იქნება კიდევ ქუშმარტი რუსის პოლიტიკა!.. (რ. ს.)

## სოციალისტთა მომავალი სამართაობის კონგრესი.

როგორც კორესპონდენტი იუწყება იტალიის სოციალისტური პარტიის მდივანი ირწმუნება, რომ ამ მოკლე დროში სოციალისტთა საერთაშორისო კონგრესი შედგება შვეიცარიაში, სადაც საერთო საკითხების გადასაწყვეტათ გერმანელ სოციალისტებთან ერთად საფრანგეთის და სხვა ქვეყნების სოციალისტებიც თავს მოიყრიან; ამნაირად უნდა, რომ სოციალისტთა კონგრესი საერთაშორისო დაპოლიტიკურ კონგრესს წინ უძღოთ. (რ. ს.)

**გარშაპის უშუაშაპი.**  
გერმანიის მთავრობის ერთი განხეთის ცნობით ვარშაფაში გერმანიის ავეტები უმუშევრებს აგროვებენ, რომ გერმანიის ფაბრიკებსა და ქარხნებსა გაზავნონ სამუშაოთ განაკუთრებულ ყურადღებას ლითონზე მომუშავეებს აქვეყენ. (რ. ს.)

## ხმები სახელ. სათათბიროს და თხოვნის შესახებ.

თავრიდის სახალეში დაქინებით ლაპარაკობენ, რომ მალე სათათბიროს დაითხოვენო. ვითომ ერთ მინისტრთაგანის გადმოცემით, სათათბიროს დათხოვა 28 აგვისტოსთვის იყო დანიშნული.

ბულ დოლბანდზე, ამ გვართვე ფანელი. ანუ ბამბა უნდა გადაემატოს კლიონკას და გრძელი დოლბანდიც ფანელას.

4) სისუსტის და ფაღარათის წინააღმდეგ აძლიეთ აგრეთვე ვალერიანის, ინოზენცევის, პოფანის ან ბოტკინის წვეთები, 15—20 წვეთი ყოველ 2—3 საათში (ჩააწვეთეთ ერთი სტოლის კოვზი წყალში). თუ საჭირო იქნება, შეიძლება მისცეთ მალ-მალე: ყოველ საათში ან ნახევარ საათში, სისუსტის წინააღმდეგ ძალიან კარგია ყინულში გაცივებული შამპანური-ყოფელ 2—3 საათში თათო ან ორა სტოლის კოვზი.

5) ხელგები, ფეხები და სხვა ასოგები, როცა ავადმყოფს კრუნჩხვა მოუვლის, მუდამ უნდა მგრათ დაუხილოთ ხაოიანი პირსახოცი, ტილოთი ან მაუღით, რომელიც უნდა დაასველოთ გარჩიცის ანუ ქაფურის სპირტში ანუ არაყში.

6) გაცივებული და გაღურჯებული ხელ-ფეხის და მთელი სხეულის გასათფობათ, როცა დახელას მიატოვებთ, ცხელი წყლით სავე ბოთ-

## ომის ამბები.

### რათ ავანტიურის მსვინჯული

ქ. ბუქარესტიდან კორესპონდენტი იუწყება: რუმინის მეფის ყოყმანი და შეჩერება მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მან ამასწინათ ვილჰელმისაგან წერილი მიიღო, რომ ლითაუ იგი შემდეგი სიტყვებით ემუქრებოდა მას: ყოველი ჰოპენცოლერნი, რომელიც კი შედგეს და ამ დინასტიას უღალატებს, ტახტს უთუოთ დაკარგავსო. (რ. ს.)

სერბიაში შესასევით ავსტრია გაცხარებულ მზადებაშია. რუმინელი გაზეთების სიტყვით ავსტრიელები რუმინეთის ისეთ საზღვრებიდან შესვვიან სერბიას, რომლებიც ნაკლებათ არის დატული. (რ. ს.)

## რ უ ს ე თ ი.

### პეტროგრადის ვაჭარ-მამუშაოთა დადგენილება.

22 აგვისტოს სხდომაზე ვაჭარ-მრეწველთა სიგებების საბჭომ ერთხმად დაადგინა: მიენდოს პრეზიდენტს, რომ შეადგინოს უქვეშევრდომილესი დეპუტის ტექსტი, რომელშიაც აღნიშნული იქნება, რომ საჭიროა ომი ბოლომდე მივიყვანოთ, რათა რუსეთი გამარჯვებული გამოვიდეს; ამისათვის აუცილებელია ქვეყნისა და მთავრობის ერთობა; ხოლო ამ ერთობის გასამტკიცებლათ და ქვეყნის დაცვის მოსაწყობათ მთავრობის შედგენილობა დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს: ძალა უფლება საზოგადოების სრული ნდობით აღტურვილ პირთ უნდა გადაეცეს. (ბ. ვ.)

## ძალთა ახალი უფლება.

სახალხო განათლების სამინისტროები უნდა იხმაროთ. ბოთლები უნდა გამოახვიოთ რაიმე ნაჭერში და შეულოთ საბნის ქვეშ ფეხებსა, ხელებსა და მუხლებთან. ამ მიზნითვე შეგიძლიათ იხმაროთ თბილი აგურები, თბილი ქატო პატარა ტომრებში ჩაყრილი. ყველაზე უმჯობესია კი ცხელი ვანა. საავადმყოფოებში ხმარობენ სპეციალურ ტანის გასათბობებს.

7) ავადმყოფის განავალი, ნარწყვი და განახანი წყალი არ უნდა გადააქციოთ ქუჩაში, მდინარეში, ან მდინარის ახლოს, ეზოში, ბოსტანში, წყლის გასავალ ღარში და ქის ახლოს, რადგანაც თუ სხვა არა, ისევე ვინმე თვეგანი რამდენიმე ხნის შემდეგ მოიშხამება ხოლმერის ვიბრიონებით და გახდება ხოლმერი ავად. ამიტომაც განავალ ნარწყვი და განახანი წყალი უნდა მოაგროვოთ ერთ თავდახურულ ჰერმეტიკში, ზევიდან „კირის რძე“ დაასხათ, სადმე შორს მიწა ამოთხაროთ, შიგ ჩაასხათ და ზემოთ ჯერ კირი და მერმე მიწა დააყაროთ.

8) არამც და არამც ავადმყოფის საცვლები და ყოველგვარი თეთრეულა არ უნდა გარეცხოთ მდინარე წყალში, მის ნაპირას, ან ქის ახლოს, რომ წყალი არ მოიშხამოს. საცვლები და თეთრეულა მოაგროვეთ ერთ თიხაში ან გობში, სადაც უნდა



როს განკარგულებით უფლება მიეცათ იმ ქალებს, რომელთა შესაფერი საშუალო განათლება მიუღიათ, რომ ხარკვის, ტომსკის და კაზანის უნივერსიტეტებში სტუდენტებად შევიდნენ საექიმო და სავიქლო ფაკულტეტებზე. (რ. ვ.)

**გუშათა გაზეთის „დილის“ ბედი.**

მხოლოდ ორი ნუმერი გამოვიდა ამ გაზეთის. შესამეს დაბეჭდვის დროს სტამბაში მივიდა პოლიცია და მთელი აწყობილი მასალა გაზეთისა სულ ერთიანად დაშალა. ამ გაზეთის გამოცემის უფლებაც ჩამოართვეს სტამბის პატრონს (რ. ვ.)

**2 სექტემბერი, ძ. ქუთაისი.**

გუშინდელ ნუმერში ჩვენის გაზეთისა ჩვენ სიხარულით აღვნიშნეთ საზოგადოება „სინათლის“ მიერ ქუთაისში დედათა ქართულ გიმნაზიის დაარსების ამბავი, შეძლებისა და გავრცელებით უმთავრესი მიზეზი ჩვენის საერთო დაქვეითებისა და გამოვსატვით იმედი, რომ თუკი ჩვენი მოზარდი თაობა სამშობლო ენაზე მიიღებს განათლებასა და ზედმიწევნით შეისწავლის საქართველოს წარსულსა და აწმყოს, ახალგაზრდობა იგი თანდათან გამოსწორდება, ჩადგება ბუნებრივ კალამატში, ქართველი ერის შემოქმედებითი ძალები ფრთას გაშლიან და დადგება ისეთი დრო, როდესაც დღევანდელი ჩვენი ორკოფული მდგომარეობა სამარცხვინოთ გვეჩვენება და ქართველი ერი შესდგება თავის ისტორიულ ვაზზე.

ეს არის ჩვენი ღრმა რწმენა და, თუ გნებავთ, ეს არის—ისტორიულათ აუცილებლობაც.

სხვა გზა ხსნისა ქართველობას არცა აქვს და უკეთესს გზას ვერც გამოიხატავთ ჩვენის გაადამიანებისა და გამოფხიზლებისათვის.

იყოს ჩასხმული 1: 1000 სულემა (რომელიც შეიძლება გამოიტანოთ აფთიაქიდან ექიმის ნებართვით) ან 2—4% კარბოლის სიმეფე. შემდეგში ეს საცვლები უნდა გარეცხო და ბოლოს დიდ ხანს 3 საათს უნდა ხარშოთ სოლის წყალში.

ვიმეორებ, რომ მარტო აქ ჩამოთვლილი წამლები იმედით და მოვლით ავადმყოფი არ უნდა დასტოვოთ და დაუყოვნებლივ ექიმს უნდა მიმართოთ.

რა წამსაც სახლში ვინმე ხოლერით გახდება ავად და ავადმყოფს გადაიყვანთ საავადმყოფოში, ან თუ მას მოათავსებთ თქვენს სახლში, იმ წამსვე უნდა მიიწვიოთ ქალაქის (ან სოფლის) ღებნიფექტორები, რომ მთელი სახლს და ნივთებს გაუკეთონ ღებნიფექტორი და გაანთავისუფლონ სახლი ხოლერის ვიბრიონებისაგან. თუ ეს ასე არ მოხდება, ხოლერა მოშხამავს კიდევ დიდხანს, როგორც შინაურს ისე სხვას. ამიტომ ყველანი გამსჭვალული უნდა იყვნენ, რომ ერთმანეთის თანხმობით, შეერთებული ძალით მიიღონ ყოველგვარი ზომები და ეს საშინელი საერთო მტერი მალე მოიშორონ თავდან.

(სსსოფლო კაზეთა) ექიმის გაბ. გოკიელი

მაგრამ ცარიელი სიხარულისა და იმედების გამოთქმა თავისთავად ბევრს არას ნიშნავს. საქირია რაციონალურად მოხმარება იმ უფლებათა, რომელიც 1914 წ. ივ. კანონი გვანიჭებს, საქირია შექმნა ქართული სასწავლებლის ისეთი ტიპისა, რომელიც ჩინოვნიკებათა და მეოცნებეთა არ გამოზრდის ჩვენ ახალ თაობას, არამედ მისცემს მას ისეთ ცოდნას, რომელიც ცოდნაც პრაქტიკულად გამოსადევი იქნება და რომელიც ცოდნაც რეალურ სარგებლობას შესძლენის როგორც თვით მცოდნეს, ისე მთელს ერს.

თავის თავად ცხდია, რომ ჩვენ—როგორც კერძო პირი, აქ ვერ შევუძლებთ ასეთი ტიპის სასწავლებლის დასურათებას.

**ქართული სკოლის ტიპის** ჩამოსაყალიბებლათ უნდა აზრადღეს და ამოძრავდეს მთელი ქართველობა, მთელი მისი მცოდნე, შესმენილი და შეგნებულ-სწავლული ნაწილი და რაც ადრე დაიწყებს საზოგადოება ამ საქმეს, ისა სჯობია.

ჩვენ არ შევუძლებთ აგრეთვე თანამედროვე გიმნაზიათა ტიპის სასწავლებლის გაკრიტიკებასაც, ჩვენ ამ ეამად ვკმაყოფილდებით იმითაც, რომ გიმნაზიური საგნები მშობლიურ ენაზე უნდა ვასწავლოთ ბავშვებს და მით ქართულ მეცნიერებასა და ქართულ აზროვნებას ნიადაგი მოვუშინდეთ...

სულ არაარაობასა და ან ისეთ გადაამგვარებელ სკოლას, რომელიცა დღეს ვსწავლობთ, ისევე ქართული გიმნაზია სჯობია. საქირია მხოლოდ ისე მოეწყოს მართვა-გამგეობა მომავალი ქართული გიმნაზიისა, ქალთათვის იქნება იგი გიმნაზია, თუ ვეთათვის,—რომ **მრავლად ბიუროკრატიზმსა და ერთა კაცის ბატონობას** აღვლით არა ჰქონდეს.

ეს სასწავლებელი უნდა იყოს მშობელთა წრისა და ფართო საზოგადოების ზედამხედველობის ქვეშ, მასწავლებელნი და აღმზრდელნი უნდა ინიშნებოდნენ საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილ წრისაგან, თუ კომიტეტისაგან და გამოცდები მოწაფეთა უნდა ხდებოდეს **მშობელთა წრის წარმომადგენელთა თანადამსწრებით.** ეს წარმომადგენლებივე უნდა ესწრებოდნენ პედაგოგიურ რჩევასაც. ერთის სიტყვით, მთელი ცხოვრება სასწავლებლისა უნდა მიმდინარეობდეს ქართველი საზოგადოების თვალწინ, თორემ თუ სასწავლებელი იგი დავემოჩინოთ ამა თუ იმ გამგის ტინსა და გულისთქმის, მაშინ იქ გამეფდება ისეთივე უსამართლობა, ნათლიმამობა და თვითნებობა, როგორც გამეფებულია არა ერთსა და ორ დღევანდელ სასწავლებელში და რომელიც თვითნებობის მეოხებითაც მასწავლებელნიცა და მოწაფენიც დაჩაგრულ-დამონებული არიან.

ჩვენ სკოლა ამიტომ კი არ გვინდა, რომ აქ აღიზარდნენ მატყუარანი, მლიქვნელები, და ნებისყოფის მოკლებულნი, არა, ჩვენ სკოლა გვინდა იმიტომ, რომ იქ აღიზარდნენ მომავალი მოქალაქენი—ამაღლებულნი სულითა და გულით, გაწვრთნილნი გონებით, გამოზრდილებულნი ცოდნით, აღსავსე შრო-

მისმოყვარეობითა და უანგარო სიყვარულთ ხალხისა და ერისა-დმი...

— მიეცით ნიჭა გზა ფართო... ნუ დაჩაგრავთ ნორჩ არსებას თქვენის პოლიციურის მოპრყაობით, ნუ შემოიღებთ **„მშუშურ“ სისტემის** მართვა გამგეობისას, ნუ დააყენებთ ისეთ მასწავლებელს, რომელიც ბავშვებს პირივითა სძულთ, დაიცევით ყველგან და ყველგან სა-მართლიანობა, მოსთხოვეთ მასწავლებელს **ადამიანობაც**, შთაუწერეთ ბავშვს სიყვარული წიგნისადმი, იგრძნობინეთ, რომ ის უნდა იყოს შემქმნელი უკეთესის მომავალისა, განუმტკიცეთ მას ზნეობა-ხასიათი და დავარწმუნებთ, რომ ისეთი უფარგისი ტიპის სკოლაც კი-როგორც დღევანდელი ბიუროკრატიული სკოლაა—თასობით მოგცემთ ღირსეულ მოქალაქეთ!..

მაშ, გავსწიოთ, ბატონებო დოსტოროვ თვითშეგნების გზაზე და ახალ ქართულ სკოლაში შევიტანოთ **ახალი სხივი, ახალი წესი** ბავშვთა აღზრდა **გაწვრთნისა!** რაში უნდა გამოიხატოს ეს „ახალი სხივი“, ან შეგვიძლია თუ არა ვკვებოთ **ქართული სკოლა, — ქართული** სამეცნიერო და სახელმძღვანელო წიგნებით ამაზე შემდეგ.

**იძულებითი სიტყვა.**

გაზეთ „ქუთაისკია ვესტის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია პატარა შენიშვნა ვილიც „ვიბორშიკისა“ სადებუტატო არჩევნების შესახებ ქუთაისის გუბერნიაში. ამ რიგად საარჩევნო აგიტაცია უკვე დაიწყო და აგიტაცია დაიწყო იმ გაზეთში, რომელსაც არავითარი საერთო არაქვს რა, არც გუბერნიის ინტერესათან, არც ქართველ ხალხთან, რომელიც სცხოვრობს ამ გუბერიაში. ამ დაუბატოებელ სტუმრებს ეხლავე სურთ წყლის ამღვრევა თევზების დასაქვრათ, სადებუტატო კანდიტატებს ესახელებენ და შემდეგისათვისაც მათ დახასიათებას გვპრდებიან. უნდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ კანდიდატებს ჩვენ უკეთ ვიცნობთ და ბ. ბ. გერმანისა და მელიქ-ავაქოვის რეკომენდაცია ამ კანდიდატების პოლიტიკურ ფიზიონომიას თუ ვნებებს არა, სარგებლობას არ მოუტანს. ამიტომ უკეთესი იქნება, თუ ეს გადასთიეი რედაქტორ-გამომცემელი მოსპობენ ისეთ საგანზე საუბარს, რომელიც მათთვის გარდა საგაზეთო მასალისა, არავითარი ქეშმარიტ ინტერესს არ წარმოადგენს. თუ არჩევნები შესდგა, ეს იქნება არჩევნები ქართველი ხალხის დებუტატისა და ამ საკითხს ქართველი ხალხი ბ. გერმანისა და მელიქ-ავაქოვის დაუკონხავად მოუვლოს.

ნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად დავით ოტისა ძე ნიქარაძეს: უღრმეს მადლობას გწირავთ თქვენ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, თანაგრძნობის გამოცხადებისთვის.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა დავით ოტისა ძე ნიქარაძემ შემდეგი შინა-არსის დებუმა აღვლილს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს:

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა დავით ოტისა ძე ნიქარაძემ შემდეგი შინა-არსის დებუმა აღვლილს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს:

**ახალი ამბავი ქუთაისი.**

◆ მთმა იმპერატორებთ უმაღლესობამ მეფის მოადგილემ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ შემდეგი შინაარსის საპასუხო დებუმა გამოუგზავნა ქუთაისის გუბერ-

ნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს თავად დავით ოტისა ძე ნიქარაძეს: უღრმეს მადლობას გწირავთ თქვენ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, თანაგრძნობის გამოცხადებისთვის.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა დავით ოტისა ძე ნიქარაძემ შემდეგი შინა-არსის დებუმა აღვლილს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს:

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა თ-დმა დავით ოტისა ძე ნიქარაძემ შემდეგი შინა-არსის დებუმა აღვლილს დიდ მთავარს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს:

◆ ამ დღებში ქოგნარის საზოგადოების სოფლის სამმართველოდან ვილაც ბოროტ გამძრავებლებმა გაიტაცეს 2220 მანეთი. ეს ფული სოფლის მამასახლისის მიერ იყო მოგროვებული ისედაც გაძვალტყავებულ ვლებობისაგან, რომლებმაც შარშან მოუსავლობის გამო სესხათ აიღეს მთავრობისაგან გამოსაკვებ სიმიდის საყიდლოთ. ბოროტ-მოქმედნი მიიმაღნენ. ამის შესახებ ადგილობრივი მამასახლისი დააპეტარეს და პასუხის გებაში მისცეს.

◆ ივანოვის ქუჩის შესახებვე მიქედლიძის სახლიდან დაწყებული შესახვევის გათავებამდის დიდი უსუფთაობაა. საქირია, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღების მიქცევა.

◆ საჩხერისაგან გვეყვრენ, რომ აქაური პირველ-დაწყებითი უმაღლესი სასწავლებლის-მე 4 კლასი დ. ქიათურაში გადაიტანეს.

◆ სოფელ ქალაში. (შორიანის მარა). 26 აგვისტოს რეგოლვერით თავი მოუკლავს ახალგაზდა ქალს ნინო აბაშიძის ასულს, განსვენებული ქრისტიანის თეატრის სცენაზე ხშირად ღებულობდა მონაწილეობას. მიზეზი თვით მკვლელობისა გამოურკვევლია.

◆ სექტემბრის შუა რიცხვში ქალაქ ქუთაისში ა. კრინიციის რედაქტორობით გამოვა ახალი გაზეთი „ჩვენი ერი“-ს მიმართულებით

◆ სოფელ ბოზოთში (ოკრიბა) მცხოვრებ კონდრატი მხეიძემ ცხრა წლის ვადით უფასოთ დაუთმო საბალო ადგილი აგრონომ ანდრონიკა შვილს. აგრონომი ანდრონიკა შვილი ამ ადგილებში გააშენებს ბაღს.

◆ ქუთაისის ქართულ გიმნაზიის მე-6 კლასის მოსწავლე ივანე კანდელი გვთხოვს გამოავცხადოთ, რომ მას დაქარგვია გიმნაზიიდან მიცემული მოწმობა რომელიც უნდა წარედგინა სამხედრო ბეგრის თავიდან ასაშორებლათ. მოვწმობა შეუძლიათ გადასცენ ეს მოწმობა გაზ. „სამშობლოს“ რედაქციაში ლაღო მაქავარიანს.

◆ ბაგრატიის ტაძრის ნანგრევები ამ ეამათ უკეთეს პირობებშია, რაც სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ: ჩუქურთმებიანი ქვები ტაძრის შიგნითა მილაგებული, ტაძრის ნანგრევების ეზოს ამშვენებს პატარა ბაღი.

ნანგრევებს უფლის და თვალყურს აღვნიშნავს საგანგებო მიჩენილი მონასახურე.

◆ კომპოზიტორი გ. ბ. კობახიძის ფოცხვერაშვილი ანტონის მიხედვით იმყოფება.

◆ როგორც საჩხერისაგან გვატყობინებენ, იქაურ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურენი გულგრილათ ასრულებენ მოვალეობას. ხშირად იკარგება რედაქციაში გასაგზავნი წერილები. საქირია ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის უფროსმა ჯეგროვანი ყურადღება მიაქციოს მოსამსახურეთა ასეთ გულგრილობას

**შეცდომის შესწორება.**

ჩემს შენიშვნაში ბ. ეიფშიძის შრომის შესახებ), როგორც საზოგადოებრივმა ჩემს ლინგვისტიურ ნაწერებში, მრავალი კორექტურული შეცდომისა. ამით ვასწორებ უმადვრეს შეცდომებს, რომელებიც სრულად ამასინჯებენ ლინგვისტიურ მსჯელობას.

სწერია: მეგრულ „ლა“-ს არაფერი საერთო არა ექვს, როგორც ფრანგულ „la“-ს, ისე რუსულ „ла“-სთან.

უნდა იყოს: მეგრულ „ლა“-ს ისე, როგორც ფრანგულ „la“-ს, არაფერი საერთო არა ექვს რუსულ „ла“-სთან.

„ბანჯარი“, „მამობრქენი“, „Finder“-ის მაგიერ უნდა იყოს: „მანჯარი“; „გამობრქენი“, „Finger“.

სწერია: უფლისკარში, მკ., ამბობენ: ჭკობი (კარგი); უნდა იყოს: უფლისკარში, მკ., ამბობენ: ჭკობი (კარგი).

II, B, A, 7-ში და II, C, 2-ში, სადაც ბასია იოტას (jota) შესახებ და უნდა ისყას ქართული ზეგვლგან დასშუღია შეცდომით ლათინური e.

გარდა ამისა: 1) მე-6 სვეტში სწერია: „ერთი მასშველო (?) ქრესტომატია“, უნდა იყოს: „ერთი შესამედი ქრესტომატისა“; 2) მე-6 სვეტში (ე. ი. გაზეთის მე-3 ფურცლის პირველ სვეტში) ახსენის თავში გამოტოვებულა ციფრი II, რომელიც აღნიშნავს რომ აქედან იწყება მეორე კრიტიკული ნაწილი. სხვა მრავალ წვრილმან შეცდომებს არ ვასწორებ.

**ნიკ. ჯორჯიკია.**

**ღია წერილი.**

„ქუთაისკია ვესტის“ პირველ სექტემბრის ნომერში დაბეჭდილია წერილი ვილაც „ვიბორშიკისა“, რომელიც სხვათა შორის ჩემი სახელიც არის მოყვანილი, როგორც სადებუტატო კანდიდატისა. მე არ ვიცი ვინ არის ბ. „ვიბორშიკი“. არც ის ვიცი საიდან ამოჰკრიფა მანცნობა ჩემს შესახებ. ვიტყვი მხოლოდ, რომ ყოველივე მის მიერ ნათქვამი ჩემი კანდიდატურის შესახებ არის თაღლითობა და მკითხველ საზოგადოების განზრახ შეცდომაში შეყვანა. ვაცხადებ საყოველთაოდ, რომ ჩემი კანდიდატურის შესახებ პირველად „ქუთაისკია ვესტიდან“ გავიგე და არც ერთხელ და არც ერთის სიტყვით არავისთვის არ მიმიცია მიზეზი ასეთი ფიქრისა. მე პირდაპირ გავკვირვებული ვარ, ვის დასჭირდა ასეთი ქორის თქმა!

**იხ ეკალაძე (ცინცაძე).**

\*) იხ. „სამშობლო“ №154.

### გურიის სახალხო ფოლკლორის მასწავლებლის საპროგრამო.

როგორც სარწმუნო წყაროებიდან გავიგებ, მესამე რაიონის ინსპექტორს განუზრახავს, სექტემბრის პირველ რიცხვებში გურიის სახალხო მასწავლებელთა კრების მოწვევა. კრებულმა უნდა მოწვეულ იქნას ქ. ოზურგეთში მ. გენიძის, ხოლო დაბა ჩხატაურში 15—ასეთვე კრება უთუოდ გაიმართება დ. ლანჩხუთშიც. ბევრჯერ შეგვრებილვართ გურიის მასწავლებლები, ბევრი პროგრამები გვითხზავს ჩვენს საპროგრამო-ტო კითხვებზე, მაგრამ ყველა ჩვენი სურვილები, უმეტეს ნაწილათ, სურვილებით რჩებოდა და ჩვენს ნათქვამს ნაყოფი არ გამოუღია. ამის მიზეზები ბევრი იყო, მაგრამ უმეტესათ ამხანაგების გულგრილობა ან არსებული წესები გვიშლიდა ხელს ჩვენ დადგენილებას ოფიციალური ხასიათი მიეღო და სამოსწავლო მთავრობის ყურადღების მისულიყო. სულ სხვაა განზრახული კრება. მას სამოსწავლო მთავრობის წარმომადგენელი ინსპექტორი, შეიძლება დირექტორიც, დაესწროება და ასეთ კრებაზე გამოტანილ განაჩენსაც მეტი მნიშვნელობა ექნება. ამიტომ დიდი სიფხობე მართებს კრების წევრებს; მასწავლებლებს, რომ ორიოდ ბირობების ყურმოქრილი მონები არ გახდნენ.

ამ კრებაზე ბევრი საჭირობოროტო კითხვები გვიდგია გადასაჭრელათ და ყველა ამ დღემნიშნელოვან კითხვებს ჯეროვანი პასუხი უნდა გავცეთ. ამ კრებაზე უნდა ჩაეყაროს საძირკველი სახალხო მასწავლებელთა მომავალი კარშირის საქმეს, ამ კრებაზე უნდა დავსვას საკითხი ჩვენს სკოლებში დღეისა და ცვის შესახებ, ამ კრებამ უნდა ეცადოს ბოლო მოუღოს ზოგიერთი მოხელის თავისუფალ თარეშს, ამ კრებამ უნდა მოუღოს ბოლო გადაგვარებულთ "პედაგოგების" გაიძვერულ საქციელს, უნდა შემუშავებულ იქნას დაახლოვებითი პროგრამა, ამოიჩინოს შესაფერი სახელმძღვანელო და სხვა. ერთი სიტყვით, კრებას ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ამიტომ საჭიროა კრებას მომზადებული შევხედეთ, რომ იქ, როგორც წინათ ვსთქვი, სხვისი ხელით სათრევი არ არ შევიქნეთ და ჩვენ თავს ჩვენვე გაუძღვეთ. თითოეულ კითხვის შესახებ წინასწარი გამოამუშავებული შეხედულებები უნდა ვიქონიოთ, რომ ამით კითხვის ზემოთადა გადაჭრას ავსცდეთ.

ურიგო არ იქნებოდა, რომ მასწავლებლები წინასწარ მოლაპარაკებას გამართავდნენ და მუშაობის გეგმას შეადგენდნენ. ასეთ წინასწარ მოლაპარაკებით შეიძლება შრომა განაწილებულ იქნას ამხანაგებთა შორის და, რომ კრებაზე ერთისა და იმავე გამეორებით დრო არ დაიკარგოს, ამხანაგებმა დავალონ სხვა და სხვა კითხვის გაშუქება. ასეთი შრომის განაწილებით დროსაც მოვიგებთ და თავის დაცვაც მეტი საბუთიანი იქნება.

დღე, გაიგონ რომ ჩვენ ვერ უღალატებთ საღს პედაგოგიურ პრინციპებს, არ ავცდებით ქეშპარიტ ვზას. მოვითხოვთ 81 წ. პროგრამის

(თუ სხვას არა) ცხოვრებაში გატარება, მოვითხოვთ ქართული ენის დაცვა ჩვენს სკოლებში, მოვითხოვთ დაარსება მასწავლებელთა კავშირისა, რაც აუცილებელი საჭიროა განსაკუთრებით ჩვენთვის ქართველი მასწავლებლებისათვის, აღვიაროთ ხუმაღლა "თუ საძირკველი დანარკულია, მაშინ კვლევის აშენებისთვის ყოველი შრომა დაკარგულია" და ჩვენ ყოველივე საგნის სწავლებას დედა ენაზე ავაგებთ, დედაენას დაუმორჩილებთ.

დრმათ გვწამდეს "რა ენა წახდეს ერთი დაეცეს..." დღეზათ გვქონდეს, სამშობლოს დედის ძუძუი არ გაიცვლება სხვაზედა...

დაუკეტოთ სკოლის კარები იმ სახელმძღვანელოებს, რომლებმაც უნდა მიჩვიონ ჩვენი ბავშვები უცხო ენაზე აზროვნებას. ვერ მივიღებთ უფარგის ახ. ლგამოჩეკლ სახელმძღვანელოებს. ვერც ვერავინ შესძლებს ძალათ თავზე მოგვახვიოს ასეთები, მხოლოდ საჭიროა ჩვენი სიფხობე. მაშ მოვემზადოთ მომავალი კრებისათვის გამოვიყენოთ ის ჩვენდა სასარგებლო!

ნუ გაეჭრებთ გულხელდაკრეფილი. ს. ბ.—ძმ.

### ქმ უ რ ი ს ა ლ ა მ ი .

ქართულ. მამადიან სახულიძე. რ. პირთ, მოლა ხაფიზ-მფანდი მისეზი-ქის წარილის გამო. (სახ. ფურც. № 353).

იმაზიდ მეტი უბედურება და თავზარ ღამეები, ჩემის ფიქრით, მშობელი დედისათვის არა უნდა იყოს რა, როდესაც მას გულიდან აგლეჯენ წვითა და დაგვით გამოზრდილ შვილს. მის მწუხარებას ოდნავათაც არ აქარწყლებს ეს გარემოება, რომ მის და უნებურათ წართმეულ შვილის გარდა, კიდევაც, რომ რჩებოდეს სამაგიეროები სხვა შვილები. ჩვენი დედაა მრავლტანჯული, მაგრამ ძვირფასი სამშობლო საქართველო ხოლო მისი მკვრიდან მონაგლეჯი შვილი კი-ძველი დიდებული მესხეთია თავისი კოპია და მშვენიერი მხარეებით: აქარა, შავშეთი, ერუშეთი, ქობულეთი, ლივანა და ჭანეთ ლაზისტანით.

აიღეთ პატარა საქართველოს რუქა და დააკვირდით მისს ამ ძალით ჩამონაგლეჯ კუთხეს და მსწრაფლ დარწმუნდებით, თუ რისთვის ეჭირათ საქართველოს დაუძინებელ მტერთ თავლი ამ სამოთხის მზვავს მხარეზე და მუდამ რათა სცილობდნენ მის ხელში ჩაგდებას; და მიადრწია კიდევ საწადელს: ჩაიღო რა ეს მხარე ხელში, მსწრაფლ ან სრულიად მოსპოათასი წლობით დანერგილი ქულტურა ჩვენ სახელოვან მეფეთა და წინაპართაგან შექმნილი, ან და ზოგი მათგანი მიწასთან გაასწორა. მართლა და რაღას წარმოადგენს ამ ეამდ დიდებული შოთას, იოანე შავთელის, სარგის თმოგველის და ჩახრუხადის აღმზრდელი მხარე? აგრეთვე დიდებულია წმიდათა მამათა: როანე და ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელი და დიდი გიორგი ხან-მთიელის მშობელი კუთხე?.. მეტია აქ ამაზედ ღაპარაკი, რადგან პასუხი ყოველად გულმომწყვედელია და მდგომარეობა უნუგეშო...

აი, ეს ძვირფასი კუთხე, ბატ. ნ. ნიკოლაძის სიტყვის არ იყოს, აგერ

ოცდა ათ წელიწადზე მეტია, რაც ისევ ჩვენს სამშობლოს დაზბრუნდა, მაგრამ, ჩვენ, დანარჩენ მის ძეგს ჯერაც არასფერი სანუგეშო მათთვის არა გაგვიკეთებია რა. გაკეთებას ვინდა სჩივოს, რომ ის მარც მოგვეხერხებია, რომ ჩვენს ფართო მასისათვის გვეწვავდებინა გარეგა სარწმუნოებისა-ეროვნებისაგან და ეროვნებისა-სარწმუნოებისაგან?.. რომელიც მთავარ მიზეზათ უნდა ჩაითვალოს ჩვენისა და მამადიან ქართველთა შორის გათიშვისა და მიუკარებლობისა!.. ვინ იცის ეს არა სასურველი გარემოება სანამდის გაგრძელდებოდა, რომ მსოფლიო ომის ქარტეხილი ჩვენს სამშობლოსაც არ სწვდებოდა და არ გამოეფხობებოდა?.. დიხს! ძვირფასი აქარის გადამუგვა-განადგურებამ და მის მკვიდრთ აწიოკებამ გონზედ მოგვიყვანა და დახმარების ხელი გავაწოდებინა. ამ გარემოებამ თვალი აუხრია, როგორც განადგურებულ აქარებს, ისე დანარჩენ ქართველ მამადიანებსაც და დაანახვა, რომ მიუხედავათ სარწმუნოების სხვა და სხვაობისა, ჩვენ ერთი ღვიძლი ძმები ვართ, რასაც სიხარულით უნდა შევიგებოთ ყოველი ქართველი განურჩევლათ წოდებისა და სარწმუნოებისა...

დიხს! მხიარულება გვმართებს, ძვირფასო ქართველნო, რომ დიდხნის დაშორებულმა ძმებმა ვიპოვეთ და ვიცანით ერთმანეთი, რომლის გამტკაცებლსაც ყველა ჩვენთაგანმა უნდა შეუწყოს ხელი.

რანაირი საფუძველი უნდა დაედვას ამ გამტკაცებას? აი საკითხი, რომელიც უნდა აინტერესებდეს ყოველ ქართველ მამულისშვილს, განურჩევლად სარწმუნოებისა. ამის შესახებ მშვენიერი აზრი იყო გამოთქმული ჩვენი დამახასიათებელი მსახიობის ბატ. ვალერიან გუნიას მიერ "სახალხო ფურცელში" (№ 351), რომელსაც ჩვენის მხრივ უნდა დაუმატოთ შემდეგი: უწინარეს ყოველისა დაახლოვება ამ სამასი წლის განმავლობაში გათიშული ორ ღვიძლ ძმებისა: ქრისტიან და მამადიან ქართველთა უნდა მოხდეს ორივეს მხრივ სამღვდლო-სასულიერო პირთაგან. ქართველი სამღვდლოება ძმურის სიყვარულით და სასაოებით უნდა გადაეხვიოს და ეამბოროს მამადიან ქართველთა სასულიერო პირთ-მოლა-ხოჯებს და ამით ნათლად აგრძობინოს მათ, რომ, მიუხედავათ სარწმუნოების სხვა დასხვაობისა, ისინი ერთს ერს ემსახურებიან და ერთი სისხლისა და ხორცისაგან არიან გამოსული. უნდა მოეწყოს ორი მხრის საერო წოდებასთან ერთათ სასულიერო პირთა ექსკურსები, რათა ორივე მხრის სასულიერო პირთ შემთხვევა მიეცეს ერთმანეთთან დაახლოვებისა და ჩვენი წარსულის, თუ აწმყო-მღვთმარობის დაწვრილებით გაცნობისა. არამცა და არამც კრიტიკა-ხმა არ უნდა იქმნას დაძრული ჩვენი ძმების-მამადიანების ქრისტეს მოძღვრებაზედ დაბრუნებაზეთ, ამ სიტყვების ფართო მნიშვნელობით, და თუ რისთვის, ამ ეამდ მაინც, ამას ივითონ

უნდა ხვდებოდეს ყოველი ქუთათა მყოფელი ქართველი ორივე მხრისა. არც ერთმა ქართველმა სამღვდლო პირმა არ უნდა გახედოს მამადიან ქართველებში სამისიონერო ზრით წასვლა, თუ არა სალომისა და კეთილი გრძობისა, როგორც ზვეითაც მოვიხსენიეთ, ვინაიდან სამისიონერო წაქეზებას ამ შემთხვევაში გარეშეს მიერ, რაღაც არა სისამოვნო სუნი უდის ორ ღვიძლ ძმათა შორის...

სამღვდლების ამ ცდას უნდა მოჰყვეს ორივე მხრის სახალხო მასწავლებლების ურთ-ერთ შორის მტკიცე ერთობის ქსელის გაბმა, რაიცა ყველაზედ მეტად უნდა გამოიხატოს ზებირ-სიტყვაობის და ძველ გადმოცემათა შეკრება და მათი გამოცემა და ამ გამოცემათართავე მხარეებში ფართოდ გავრცელება, რაიცა ერთი ათათ უფრო შეაკავშირებს აწმყოს წარსულთან ორივე მხრის ქართველთა გონებაში, ვიდრე მშრალი ლექციების კითხვები და მათი მოსმენა.

### მღვ. ვლადიმერ მაჭაბაშვილი.

### ბრძოლის ველიდან.

რამოდენიმე ქართველი ჯარისკაცი ბრძოლის ველიდან დასასვენებლად მოვიდოდით. დამის სამი საათი იქნებოდა, რომ ჩვენ ერთ ტყესთან მოველით.

აი, ამ ტყეში ვაპირებდით დასვენებას მთელი პოლკი ერთად ვიყავით ჩვენ. ქართველმა ჯარისკაცებმა თავი ერთად შევიყარეთ, გაიწაღეთ დიდი ცეცხლი და თითოეულ ჩვენგანი თავის გაქარვებას მოჰყვა.

ეს არის თენდება კიდევ. დამის ნამი, ისევ მიწაზედ გართხმულ ბალახებში ციმციმებდა იქვე ბუჩქნარის ნაპირას ტყის ყვავილები ერთმანეთს გულში ჩაჰკრო.

დენ და საამო მოსვენებას მისცემოდენ. ამა ეს არის მთელი ამოცანა ჯარის საბრძანებლოდან და შეგუბვრად გადმოუხატო თავისი ოქროსფერი სხივები!

იქ მდგომმა ქართველმა ჯარისკაცებმა ერთმანეთს შეგსინეთ. ოხ! როგორი მყუდრო და სამაგალითო დღე იყო!

ღამე ნათვენი ის იყო ხის ძირას უნდა მიეწოლილყავით, როდესაც მოგვივიდა ძვირფასი გაზეთი "სამშობლო".

ქართველი ჯარისკაცი გაზეთს სიხარულით ერთმანეთს ხელში ვგლეჯდით. და ბოლოს ერთმა ჩვენთაგანმა გაზეთი ხელში აიღო და სთქვა, "მაშ მეგობრებო ყური უგდეთ თუ როგორი სიტყვებით იწყება ჩვენი გაზეთი "სამშობლო", "სამშობლო" დედის ძუძუი არ გაიცვლებს სხვაზედა და სხვ, წაიკითხა ეს გრძობიერი სიტყვები პოეტისა და თვალეტი ცრემლით აეგსო. სიხარულის ცრემლები სიმწრის ცრემლებათ გადაგვეცა, როცა ამავე გაზეთში ამოვიკითხეთ და ყველაზედ პირველად თვალშიდ ვაჟ ფაშაველას გარდაცვალების ამბავი.

იქ მდგომი ყველხ ჯარისკაცი ზოგი ხეს მიებჯინა, ზოგმა ჩაიჩოქა და საზარელ ხმით მოსთქვამდნენ ძვირფასი აღამიანის დაკარგვას. ჩვენ, ტანჯვის შკონი, ქართველი ჯარისკაცი 42 დღევიისა მწარეთ მოვსთქვამთ ძვირფასი აღამიანის დაკარგვას. ვაჟა ფაშაველას სახელი ჩვენ ქართველ ჯარისკაცთა შორის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე აღმოუფხვრელი იქნება.

სანდრო ფსავაძე.

რედ.-გამომც. ი. თ. ცინცაძე.

### მუშაობს ხრამილის მადნაული წყლის ქმ. შორსულაქიების სამაქრანლო.

### — ა ბ ა ნ ო . —

აბანო მდებარეობს მადლბ ბუნებით შემკულ მთის ჭარზე და, როგორც სამდიდო გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავთამოფობას: ქარებს (რევმატიზმს) სხვადასხვაგვარ მუწუკს, სეპაწვადებს, ნერვების სისუსტეს, ჩაელოდ ციფას (მაღარას), კუჭის ტრაეიას, ვენერულ ავთამოფობას, ეგზემას, "სისინეს და სხვა. წყალი მიაღება ციფა და თბილიც. ხრესილში იმეოფება მუდმივი ექიმბ, სადაც მსურველს შეუძლია მამართოს დარბეისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბისა და სსსმელ-საჭმელი. ფასები ეოველიეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს სადგურ "სერნას ვოდში". ხრესილში სადგურია მატარებლის გასახერებათ. სადგურადან 150 სეკნას აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოათხოვეთ ბადეთეობა სადგურ ხრესილას "სტანცია სერნას ვოდის". ქუთაისიდან მატარებელი გადის დიდის შეიდაის ნახევარზე, დაბრუნდება სადამოათ.

### თ. მთავრიშვილის და აახ.

წიგნისა და საკანცელარიო მალაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დაგზადებული აქვს შოხველანირი

### ქართული და რუსული ღვაწელი წიგნები,

გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო წიგნები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო წიგნები. აქვე იყიდება საშაფვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ. თვ.